ვასილ შავერზაშვილი

კომპოზიტორი ვასილ შავერზაშვილი დაიბადა 1895 წელს ქუთაისში, სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც 1915 წელს დაამთავრა. იგი ახალგაზრდობიდანვე იყო გატაცებული მუსიკით და უკვე 13 წლის ცნობილი იყო როგორც მუსიკოს-შემსრულებელი. რევოლუციამდე მუშაობდა პიანისტად და დირიჟორად თბილისის მთელ რიგ თეატრალურ წამოწყებებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუსიკალურ ცხოვრებაში. ცნობილია მის მიერ ორგანიზებული 80 კაცისგან შემდგარი სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ემსახურებოდა წითელი არმიის ნაწილებს.

1928 წლიდან ვასილ შავერზაშვილი მუშაობდა მუსიკალური ნაწილის გამგედ თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში და მას ეკუთვნის ამ თეატრის მრავალი ათეული დადგმის მუსიკალური გაფორმება. იგი სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდა საქართველოს პერიფერიულ თეატრებშიც.

ვასილ შავერზაშვილი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა საესტრადო მუსიკის შექმნაში ქართული ესტრადის მსახიობთათვის. მას ეკუთვნის ვასო გოძიაშვილის საესტრადო რეპერტუარის თითქმის მთელი მუსიკა. მის შემოქმედებაში აღსანიშნავია მთელი რიგი საბავშვო სიმღერები, რომლებიც წარმატებით სარგებლობდნენ მოზარდ თაობაში.

ვასილ შავერზაშვილი მოღვაწეობდა ქართულ კინოში და მუსიკალურად გააფორმა შემდეგი ფილმები: “სურამის ციხე”, “სვანეთი”, “პირველი დღე”.

იგი გარდაიცვალა 1951 წლის 27 აპრილს, თბილისში.

ვასილ შავერზაშვილის პირადი არქივი

პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მასალები

1. მე-11 არმიის ფინანსური განყოფილების საატესტაციო ფურცელი, ვასილ შავერზაშვილის ჰონორარის შესახებ.
1921 წ. 5 აგვისტო. ბლანკი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. “КО СПСГ”-ს მიმართვა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირისადმი, მუსიკალურ სასწავლებლებში მისაღებ გამოცდაზე ექსპერტის გამოყოფის შესახებ.
1924 წ. 23 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. პ. ჩოჩიევის რეზოლუცია. ხელს აწერს: დოლიძე და აბხაიძე. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

3. ვასილ შავერზაშვილის განცხადება მთავარ სახელოვნო საბჭოს გამგეობისადმი, ოპერის დასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
1925 წ. 30 ივლისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ადევს რეზოლუცია. შავერზაშვილის ავტოგრაფით. 2 გვ.

4. ვასილ შავერზაშვილის შრომის სახალხო კომისარიატის მოწმობა.
1925 წ. 30 ნოემბერი. სტამბური. ხელნაწერი. ერთვის ფოტო. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

5. ვასილ შავერზაშვილის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-6 ყრილობის დელეგატის მანდატი.
1926 წ. 21 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. 1 ც.

6. ვასილ შავერზაშვილის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის მე-8 ყრილობის დელეგატის მანდატი.
1928 წ. 18 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. 1 ც.

7. ვასილ შავერზაშვილის ცნობა გაცემული საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის მიერ, თბილისის ორკესტრების მუსიკოსების კავშირის წევრობის შესახებ.
1928 წ. 5 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: საქმეთამწარმოებელი – პ. ჩოჩიევი. 1 გვ.

8. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის ცნობა, მეორე ჯგუფის თეატრების მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელის სახელფასო ტარიფის შესახებ.
1935 წ. 4 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

9. ვასილ შავერზაშვილის ავტობიოგრაფია.
1937 წ. 3 ნოემბერი. ავტოგრაფი. ტუში. ხელს აწერს: ვ. შავერზაშვილი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

10. ვასილ შავერზაშვილის შემოქმედების დამადასტურებელი ცნობა.
1937 წ. 20 ნოემბერი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის შუამდგომლობა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, ვასილ შავერზაშვილისთვის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
1937 წ. 1 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: თეატრის ადგილკომის თავმჯდომარე – კ. ხუნდაძე. 1 გვ.

12. ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექციის მიერ გაცემული ვასილ შავერზაშვილის დახასიათება.
1937 წ. 1 დეკემბერი. თბილისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 ც.

13. ვოროშილოვის სახელობის კლუბის გამოხმაურება ვასილ შავერზაშვილის მუშაობის შესახებ.
1937 წ. 2 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: კლუბის დირექტორი – ქორიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

14. სანკულტურის თეატრის დირექტორის ვ. ნინიძის ცნობა-დახასიათება ვასილ შავერზაშვილის შესახებ.
1937 წ. 7 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ვიქტორ ნინიძე. 1 გვ.

15. ვასილ შავერზაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 22 სექტემბერი. სტამბური. ავტოგრაფი. მელანი. ერთვის ფოტო. ხელს აწერს: ვ. შავერზაშვილი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

16. ვასილ შავერზაშვილის ავტობიოგრაფია.
1939 წ. 23 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს: ვ. შავერზაშვილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

17. ვასილ შავერზაშვილის ავტობიოგრაფია.
1939 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

18. ვასილ ანტონის ძე შავერზაშვილის ავტობიოგრაფია.
1940 წ. 5 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ. 2 ეგზ.

19. ვასილ შავერზაშვილის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის მოწმობა.
1945 წ. 10 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. დაზიანებული. 1 გვ.

20. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის მიმართვა ვასილ შავერზაშვილისადმი, მის ორკესტრთან ერთად საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.
24 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

21. ლადო კავსაძის გამოხმაურება ვასილ შავერზაშვილის შემოქმედების შესახებ.
2 დეკემბერი. თბილისი. ავტოგრაფი. ტუში. ხელს აწერს: ლადო კავსაძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.

22. ვასილ შავერზაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარიღო. სტამბური. ნაბეჭდი. ერთვის ფოტო. რუსულ ენაზე. 4 გვ.

23. ვასილ შავერზაშვილის დახასიათება გაცემული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ.
უთარიღო. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

24. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის მიმართვა ვასილ შავერზაშვილისადმი, ადმინისტრაციული ხასიათის კითხვაზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ბლანკი. ასლი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: საქმეთამწარმოებელი – გაჩეჩილაძე. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.

25. გამოხმაურება ვასილ შავერზაშვილის მუშაობასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კინოთეატრ "დამკვრელის" ორკესტრის წევრი – პ. ჩოჩიევი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

26. მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივის გამოხმაურება ვასილ შავერზაშვილის თეატრში მუშაობის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი – ალ. თაყაიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

27. ვასილ შავერზაშვილის ნაწარმოებების ნუსხა.
1940 წ. 5 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

28. "ფრაგმენტები" (მუსიკალური ნომერი. ნოტები). მუსიკა – ვასილ შავერზაშვილის. (ფორტეპიანოს პარტია).
1941 წ. 7 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 14 გვ.

29. სტ. ჯაფარიძისა და გ. სადარაძის რეპერტუარის ("ახალი საქართველო") ტექსტი და ნოტები. მუსიკა – ვ. შავერზაშვილის, ტექსტი – კ. ჭანტურიშვილისა და ე. ზედგინიძის.
1951 წ. 8 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. 11 გვ. 2 ეგზ.

30. სტ. ჯაფარიძისა და გ. საღარაძის რეპერტუარის (“ჩვენი მიმოხილვა”) ტექსტი და ნოტები. მუსიკა – ვ. შავერზაშვილის, ტექსტი – კ. ჭანტურიშვილისა და ე. ზედგინიძის.
1951 წ. 8 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. 6 გვ.

31. ვასილ შავერზაშვილის სანოტო ციტატების ჩანაწერები მისი ნაწარმოებებიდან – “Поема победы”.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 120 გვ.

32. ვასილ შავერზაშვილის მიერ 1941-51 წლებში შექმნილი ნაწარმოებების ნუსხა.
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. არასრული. 3 გვ.

33. საესტრადო ნომრის – “ერთი წუთით წარმოვიდგინოთ” ნოტები. მუსიკალური გაფორმება - ვასილ შავერზაშვილის.
პირი: ვასო გოძიაშვილი.
უთარიღო. ხელნაწერი. დაზიანებული. 9 გვ.

34. საესტრადო ნომრის – “პოლიტიკური მიმოხილვა” ნოტები. მუსიკალური გაფორმება - ვასილ შავერზაშვილის.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. დაზიანებული. 40 გვ.

35. საესტრადო ნომრის – “ჩემი მიმოხილვა” ნოტები. ტექსტი – ვასილ პატარაიასი, მუსიკალური გაფორმება - ვასილ შავერზაშვილისა.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. წითელი ფანქარი. დაზიანებული. 14 გვ.

36. მუსიკალური ნომრის – “საქართველო” ნოტები. მუსიკა – ვასილ შავერზაშვილისა (ფორტეპიანოს პარტია).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. დაზიანებული. 11 გვ.

37. მუსიკალური ნომრის – “ბრძოლა გრძელდება” ნოტები. მუსიკა – ვასილ შავერზაშვილისა (ფორტეპიანოს პარტია).
უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. დაზიანებული. 4 გვ.

38. ნოტები.
პირი: არჩილ კერესელიძე, ვასო გოძიაშვილი.
უთარიღო. ხელნაწერი. ტუში. ფანქარი. 8 გვ.

ვასილ შავერზაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მასალა

39. ვასილ შავერზაშვილის ნეკროლოგი
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.